

ქართულ-ჩინური ბიზნესკოუნიკაციები (რ. მიშველაძის ნოველა „ჩინელების მიხედვით“)

ბადრი ცხადაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ეკა ცხადაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია თანამედროვეობის ცნობილი ნოველისტის, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის რევაზ მიშველაძის ნოველა – „ჩინელები“, რომელშიც დამოუკიდებელი საქართველოს, პოლიტიკური და ეკონომიკური ნაბიჯების კრიტიკული შეფასებაა მოცემული.

სტატიის ავტორების აზრით, მწერლის თვალსაზრისით დანახული საქართველო ჩინელი „გარემოვაჭრების“ ფონზე, გამოწვეულია თანამედროვე მსოფლიო კრიზისითა და გლობალიზაციით, ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისით, რომელთაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დასასრული არ უჩანს.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე მსოფლიო კრიზისი, გლობალიზაცია, ჩინელი, ჩინელები, დამოუკიდებელი საქართველო, ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, მწერალი რევაზ მიშველაძე.

Summary

This article refers to the two novels from the standpoint of a culturologist, linguist, critic, laureate of Shota Rustaveli prize, Revaz Mishveladze “Chinese”. The first book is set in the about the post-Soviet period, the newly independent Georgia. Here she is treated as a young country and its first political and economic steps are critically assessed. What’s more he explains civil legitimate concern about - the growth of Chinese settlement, as well as government’s support for the Chinese business to the detriment of the Georgian population, ignoring the interests of the local people etc. According to the authors opinion and from the point of view of the above mention writer starting with Japanese tourists and ending with Chinese “street traders”, all this is caused by the modern world, the global economic and political crisis and globalization, which unfortunately is still going on.

Keywords: the global economic and political crisis and globalization, Japanese tourists, Chinese, culturologist, linguist, critic, laureate of Shota Rustaveli prize, Revaz Mishveladze, post-Soviet period, the newly independent Georgia, the Chinese business.

ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია, როგორც უკიდურესი აზია, ინტერესს აღძრავს იბერიულ-კავკასიურ და ევროაზიურ სიმბიოზურ (აღმოსავლურ-დასავლურ) ეთნოყოფასთან. ამ მხრივ ბოლო პერიოდში თავისი

აღმავლობითა და ფენომენურობით განსაკუთრებით ჩინეთი გამოირჩევა [1], [2, 96-97]. როგორია მსოფლიო კატაკლიზმების ფონზე თანამედროვე ჩინელისა და ქართველის დღევანდელი ყოფითი კონტაქტები, რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ამ ურთიერთობებიდან, ვფიქრობთ, საინტერესოა როგორც სახილველად (შემოქმედის თვალთ), ისე განსახილველად (მეცნიერული რაკურსით).

რ. მიშველაძის ნოველა „ჩინელები“ [2, 17-25] პოსტსაბჭოური ქართული ყოფის ამსახველია.

2009 წელს გაზ. „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა ემა ტუხიაშვილის პუბლიკაცია „გარევაჭრობა ჩინურად“ [3, 21-24]. წერილის დედააზრი და შინაარსეული ქარგა ასეთია: ჩინელების რომელიმე ქვეყანაში გამოჩენა ქვეყნის სტაბილურობისა და განვითარების პერსპექტივის უდავო მაჩვენებელია: უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში საქართველოში ბიზნესის ასაწყობად ჩინეთის 12,000-მდე მოქალაქე ჩამოვიდა, ზოგმა სარესტორნო ბიზნესს მიჰყო ხელი და აღმოსავლური სამზარეულოს ქსელი გახსნა, ზოგმაც ხალხმრავალ ადგილებში კომერციული ფართი იქირავა და ჩინური წარმოების საქონლით დაიწყო ვაჭრობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მომხმარებელი იმთავითვე უნდობლად და უნდობლად განეწყო იაფფასიანი ჩინური ნაწარმის მიმართ (თუმცა დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის მოსაზიდად პროდუქციის ფასი გადამწყვეტი აღმოჩნდა), ჩინური მაღაზიების ქსელი სწრაფად გაფართოვდა.

ამ პუბლიკაციიდან აგრეთვე ვეცნობით იმასაც, საქართველოში როგორი წარმატებით ვითარდებოდა ჩინელების მცირე და საშუალო ბიზნესი – როგორც ცნობილია, მაშინ თბილისში ჩინური კვარტალის ანუ „ჩაინათაუნის“ შენებლობაზეც კი კეთდებოდა აქცენტები, რომ სერიოზული ინვესტიცია საქართველოს ეკონომიკაში იმავდროულად ჩინელთა ბიზნესის განვითარების ხელისშემწყობიც იქნებოდა.

ჟურნალისტის წერილიდან აგრეთვე ვეცნობით: ჩინელებს, რომლებიც თბილისში, სანამ საკუთარი მიკროქალაქი ექნებოდათ, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, საქართველოში ნაშოვნი ფულით, სახლები-სა და მიწის ნაკვეთების შეძენასა და სოფლის მეურნეობის განვითარებას მიჰყოფდნენ ხელს. შევნიშნავთ, რომ ჩვენი ინფორმაციით, მათ ამჟამად სამეგრელოში მეგრელებთან თანაცხოვრებით მეგრულიც კი უსწავლიათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ, ტრივიალური გამოთქმით, ჩინელები აქ „თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში“, ეს იყო მანამ, სანამ მათ ბიზნესს 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს

ე. ნ. ომმა და იმავდროულად მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა არ მოუსწრო. ყოველივე ამან – უმუშევრობის ზრდამ, მოსახლეობის შემოსავლების შემცირებამ „ჩინურ მაღაზიებზე“ იქონია ზეგავლენა კლიენტურის (მომხმარებლის) თანდათანობითი კლებით. მსოფლიო გლობალური კრიზისის პირობებში, თბილისში, ერთიმეორის მიყოლებით მალევე გაქრა ჩინური მაღაზიები (ისევე როგორც პირველად გამოჩნდა). ზოგმა მათგანმა დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე გადაინაცვლა ერთგვარი ხერხის გამოყენებით: გამვლელები, რომლებიც ფულის დასაზოგად შეგნებულად თავს არიდებდნენ მაღაზიებში სიარულს, ქუჩაში გამოსულ ჩინელებს გვერდს ვერ უვლიდნენ (ძნელია ცდუნებასთან გამკლავება!) – ისინი ხელსაყრელ ფასებში შინ თან იყოლებდნენ რაიმეს – „ჩინურად გარევაჭრობის“ ამ ერთ-ერთმა ძირითადმა ბერკეტმა ერთხანს თითქოს გაამართლა და მოულოდნელად კრიზისიდან გამოყვანის – ხარჯებისაგან შემცირების ერთ-ერთ საშუალებად მოგვევლინა.

ცხადია, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის (კონფლიქტის) შემდგომ საქართველოში ეკონომიკური უკუსვლა მოსალოდნელი იყო (ამას ჩვენ ამ ომის გარეშეც ველოდით). ამის შემდგომ რა ბედია ენიათ ჩინელებს, ძნელია თქმა – ალბათ, ზოგიერთმა საკუთარი ბიზნესის წარმართვა თავის სამშობლოში განაგრძო, ზოგმა სხვა ქვეყანაში გადაინაცვლა, ზოგმა საქართველოდან გაცლას აქ დარჩენა არჩია და ბიზნესის სხვა სფეროსაკენ გადაიხარა.

სწორედ ამ „სავაჭრო-შემოქმედებით ხანას“ – ჩინელების თბილისქალაქში „გაჩენა-გათბილისებას“ – მათ ადაპტაციას – მცირე და საშუალო ბიზნესის ფეხმოკიდებას ეხება რუსთაველის პრემიის ლაურეატი, სტუ-ს სრული პროფესორი, მწერალი რ. მიშველაძე „ჩინელებში“ [2].

რ. მიშველაძის ეს ნოველა 2007 წლის 17 ივნისს დაიწერა, გამოქვეყნდა ავტორისავე ნოველების კრებულში „ნარღვნა“ [2, 17-25]. მწერალი კრებული ანოტაციის მეორე აბზაცშივე გვამცნობს, თუ „როგორია ჩვენი მღელვარე ეპოქა, თანამედროვის შიშითა და მოლოდინით აღსავსე დღეები, მრავალტანჯული ქართველი ხალხის ტკივილიან-ლიმილიანი ცხოვრება“. ნოველა „ჩინელები“ გვაუწყებს: 2005 წელს ენკენისთვეში დელისის მეტროსთან როგორ გამოჩნდა ერთი სიმაღლის ორი ჩინელი (ხალიანი და უხალო, რომელთა ასაკოვნებას — უმცროს-უფროსობას ვერაფრით დაადგენდით), მამრობითი სქესისანი, დაჭმუჭვნილი სატინის ლურჯი კვართებით, მოკლე, მომწვანო ხამის შარვლებით, შიშველი ფეხები ხის ქოშებში რომ წაეყოთ და ქუჩებსა და ტროტუარზე მხრებზე გულდაგულ გატენილი ნეილონის ყვითელი ტომრებით რომ დაფუსფუსებდნენ, ჩინურ-ფხენიანური აქცენტით და გამუდმებული სიცილითაც ხომ იქცევდნენ გარშემომყოფთა ყურადღებას. ავტორის თქმით, მათ ინდოვარაჭრე ლტოლვილების (მეტროს ზედა ჩასასვლელთან) გვერდით დაიბანაკეს თავიანთი ჩინური მაისურებით, მარაოებით, დურბინდებ-

ით, რეზინის პატარა ბურთებით, იეროგლიფებიანი ქუდებით და ა. შ.

ნოველის ავტორის მონაცლით, ჩინელები ყველაფერს ხუთ ლარად ყიდდნენ (მათ მხოლოდ ქართული სიტყვა „ხუთი“ იცოდნენ), მყიდველი მოუძრავლად, ზოგჯერ პატრული თუ დაურღვევდა „ვაჭრულ სიმშვიდეს“. „ტუალეტიც“ იქვე ჰქონდათ ბუნებაში, ჭადრის ხის ძირი, ადგილობრივი ქურდბაცაცები კი ამ დროს, ჩინელების მოსაქმებისას, ჩინურ საქონელს ანაპნიდნენ და თავშესაფარებად მეტროში მიძვრებოდნენ. მეორე დღეს ჩინელებს კვლავ პატრული დაერია, ერთ-ერთი (ხალიანი ჩინელი) მანქანაშიც კი ჩასვეს და გაუყენეს „დამოყნის გზას“ – „ქვეგამხედავმა პატრულელებმა“ პოლიციის ქვეგანყოფილებაში ამოაყოფინეს თავი, კითხვები ინგლისურ-რუსულად დააყარეს, მაგრამ ვერას გახდნენ, მათ მხოლოდ ერთადერთი ქართული სიტყვა, რაოდენობითი რიცხვითი სახელი „ხუთი“ იცოდნენ და.... ზედმოყოლებული გულიანი სიცილი. ბოლოს პოლიციელები იძულებული გახდნენ ჩინელ ვაჭარს თუ ინდოვარაჭრეს ზრდილობიანად დამშვიდობებოდნენ, ნოველის ავტორის თქმით, ხელიც კი ჩამოართვეს თურმე.

ირკვევა, რომ პროფესორს საკუჭნაო ფოტოსაქმისათვის აუშენებია, ისეთი მომცრო ყოფილა, რომ თავი ხეირიანად თავის პატარა კუდსაც ვერ მოიქნევდა, მაგრამ სამაგიეროდ ქუჩის მხარეს ფანერის კარი ჰქონია დატანებული. ჩინელებმა მშენებლობა-გადაკეთების „ფხა“ გამოიჩინეს – ფანერის კარი რკინის კარად შეცვალეს, ფოტოსაკუჭნაოს ღია კარი ვიტრინად აქციეს, და.... ერთ მშვენიერ დღეს (თოთხმეტ დეკემბერსო, აზუსტებს ნოველისტი) ჩინელებმა საკუჭნაო-ჯიხურის წინ ნახვრეტებიანი კასპური აგურ-ცემენტი მოზიდეს და კედლის შენებას მიჰყვეს ხელი.

პატრული რის პატრულია და ამჯერადაც თავს დაადგა ჩინელ „მეორედ მაშენებლებს“. თურმე ჩინელებს ამ ხნის განმავლობაში კიდევ ერთი ქართული სიტყვის დასწავლა მოესწროთ – პატრულის წინაშე სულ „დიახ-დიახ“-ს გაიძახოდნენ. ამ მომენტში პოლიციელები მათ მიმართ არაგულმონყალენი აღმოჩნდნენ და.... ნახევრადამშენებული კედლის დანგრევა დაიწყეს, თუმცა ჩინელები მაინც „დიახ-დიახს“ ამბობდნენ და იმავდროულად, შეუჩერებლივ, კედელს კვლავ ჯიქურ აშენებდნენ. მოულოდნელად მათ წინ ვიღაც შავჰალსტუხიანი აისვეტა, „საელჩოს შევატყობინებ და თვითონ დაანგრევინო“ და თქმისთანავე „ჯიპში“ განცხრომით ჩამჯდარა. ამ ფაქტის შემსწრე მწერლის თქმით, გასულა რამდენიმე კვირა და „ჩინური კედლისთვის“ ხელი არავის უხლია.

მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ, იმავე ჩინელებს (ჩოან ლაისა და ჩოან ჰლაის) მარტის თვის დასაწყისში სოფელ ლომისჭალაში „კარს“ თერთმეტი ჩინელი მისდგომია. როგორც ნოველისტი ირწმუნება, ჩოან ლაიმ დანარჩენ შვიდ ჩინელ ნათესავთან ერთად ახალი ვაჭრობა წამოიწყო.

ნოველიდან ცხადი ხდება, თუ როგორი საინტერესო გამოდგა ჩვენი სახალხო ტელევიზიის მიერ 19 აგვისტოს გადაცემული სიუჟეტი – „ჩინელები ლომისჭალაში“; თურმე, ჟურნალისტის განცხადებით: „მუყაითმა ჩინელებმა ლომისჭალაში მზუსუმზირის 3, კიტრის 2, პამიდვრის 4, ხოლო ბადრიჯნის 7 მოსავალი მოიყვანეს“. საინტერესოა, ამის შემხედვარე კახელი გლეხკაცის შეფასება – თუ როგორ „ირტყამენ ნიხლებს ჩინელები კეფაზე“, სამუშაოზე არდაგვიანების გამო – ეს თავად უნდა ნაიკითხოთ.

ოქტომბერში ჩოან ლაიმ თავის საამფსონოსთან ერთად მეტროს პირდაპირ, ტროტუარზე, სამოვარი აათუხთუხა – ახლა ჩაით, ბრინჯის ღვეზლით გაუმასპინძლდა გამვლელ-გამომვლელთ. პოლიციელები კი.... მათი ერთი-ერთი პირველი მუშტრები გახდნენ.

რ. მიშველაძის ნოველის დასასრულიდან კიდეც უფრო ფრიად სამწუხარო სურათი იკვეთება. მისი აღწერით, „დელისის მეტროსთან „ყოფილ თავადს, ამჟამად გვაროვანთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ნამდვილ წევრს ვამეხ დადეშქელიანს თავისი სახსრებით კანონიერად აშენებულ სილამაზის სალონს და წიგნის მაღაზიას უნგრევდნენ. ოპერაციას ერთი ბუღდოზერი და სპეცნაზი „ანარმოებდა“. ხალხი კი სეირს უყურებდა, ნანგრევებზე შემხტარი ნათავადარი თუ თავადყოფილი პლაკატით ხელში „ხელები შორს კერძო საკუთრებისაგან“ ტყუილად გაისარჯა. – მისი სალონი მინასთან გაესწორებინათ. თავიანთ „კანონიერ“ სავაჭრო ობიექტებთან – მაღაზია-რესტორნებთან გამწკრივებული ჩინელები შესცქეროდნენ ამ სავალალო სურათს და... იცინოდნენ.

მწერლის პათოსი, გულისტკივილი, განცდა თუ თანაგანცდა თვალნათლივია. უკუღმართობას ვუყურებთ, ვხედავთ, თუმცა ვერაფერს ვშველით. სოციალური და უსამართლობით გამოწვეული უილაჯობის ჩვენებით ნოველისტი მკითხველს კიდეც ერთხელ დააფიქრებს და უბიძგებს გარსმოჯარული უკეთურების დაძლევისაკენ, ეგზისტენციალური ყოფისა და არსებული რეალიების შეცვლისაკენ. ამ მხრივ, მწერალ-პროფესიონალის მიერ ნოველის ფორმით გამოხატული მწვავე პროტესტი სასურველ მიზანს უფრო აღწევს, ვიდრე ამ პრობლემისადმი მიძღვნილი დიდტანიანი სამეცნიერო გამოკვლევა, სამეცნიერო ხასიათის კერძო წერილი, ჟურნალისტური ესე ან თუნდაც საპროტესტო მიტინგი. ნოველისტი, ისე როგორც მისი ნოველა, ეპოქის უტყუარი სულის მატრიანაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კანდელაკი ე., ჩინეთის ფენომენი და თანამედროვეობა, თბ., 1997.
2. ცხადაძე ე., ცხადაძე ბ., იაპონელები და ჩინელები საქართველოში თანამედროვე ქართველი მწერლის რევაზ მიშველაძის თვალსაზრისით. ჟ. „ხელისუფლება და საზოგადოება, №1(25), 2013.
3. მიშველაძე რ., წარღვნა (ნოველები), პირველი გამოცემა, თბ., 2008.
4. ტუხიაშვილი ე., გარევაჭრობა ჩინურად. გაზ. „კვირის პალიტრა“, 18-24 მაისი, '20 (772).